

ქართველ კათოლიკეთა როლი სამშობლოს თავისუფლებისათვის

„ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ ისინი ძედ ღვთი-სად იწოდნენ“ – გვასწავლის უფალი და ჩვენ, როგორც იესო ქრისტეს მიმდევრებს, გვაქვს ვალდებულება, სიტყვით, საქმით, მოქმედებით ვი-ღვაწოთ მშვიდობისათვის.

რამეთუ მხოლოდ მშვიდობიანობის დროს არის შესაძლებელი ნათლად გავაცნობიეროთ ჩვენი დანიშნულება და ღვთივ მომადლე-ბული უნარი წარმოვაჩინოთ; ხოლო იმ გარემოში, სადაც ადგილი აქვს მტრობას, ძალადობას, უსამართლობას, მშვიდობა ვერ დაივანებს.

ომი კი მშვიდობის საპირწონე უკიდურესი ბოროტებაა, მრავალთა სიცოცხლის ხელმყოფი და უფლის მცნებათა დამრღვევი.

საუკუნეების განმავლობაში საქართველო მტერთა შემოსევებს იგერიებდა და მშვიდობა მუდამ სანატრელი იყო. დამოუკიდებელ სა-ქართველოში რუსეთის ოკუპაციამ შეაჩერა საქართველოში დემოკ-რატიული პროცესები. ემიგრაციაში წასული ქართველები ევროპასა და ამერიკაში განაწილდნენ. განსაკუთრებით, ქართველ ემიგრანტთა დიდი ჯგუფი მიაწყდა არგენტინას, რადგან არგენტინა იყო ის პირ-ველი ქვეყანა, რომელმაც ალიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ არგენტინამ ფა-რთოდ გაულო კარი ომისგან გაპარტახებულ ევროპელ მიგრანტებს, რომელთა შორის გახლდათ რეემიგრანტები – სხვადასხვა ქვეყნიდან სხვადასხვა დროს ევროპაში ემიგრირებული და უკვე დასახლებული ათასობით ადამიანი. მათ შორის იყვნენ ქართველებიც. თუმცა ისინი მანამდე ცხოვრობდნენ არგენტინაში და ჰქონდათ თავიანთი სათ-ვისტომოც. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპიდან გადასახლებულმა ქართველებმა ბუენოს-აირესში ძლიერი ქართული საზოგადოება ჩამოაყალიბეს.

არგენტინა იყოს ის ქვეყანა, სადაც ქართული წიგნი დაიბეჭდა და ქართული პრესა გამოდიოდა. უფრო მეტიც – სწორედ არგენტინაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი, გაზეთი თუ ჟურნალი ამერიკის კონტინენტზე.

არგენტინაში ქართველთა დამკვიდრებისა და თანადგომის საქმეში დიდი როლი ითამაშეს კათოლიკური აღმსარებლობის წარმომადგენლებმა: ესტონელებმა, ლატვიელებმა და ლიეტუელებმა.

1951 წლის ივნისში არგენტინაში დაარსდა ქართული კლუბი: „ლიტოველთა კლუბის გამგეობასთან მოლაპარაკების შედეგად, ქართული საზოგადოების გამგეობამ მიიღო უფლება თავისუფლად ისარგებლოს ლიტოველთა კლუბით ყოველ შაბათობით. გამგეობამ გადასწყვიტა ისარგებლოს ამ უფლებით და ასე დაარსდა ქართული კლუბი“ (ნაცვლიშვილი 2024, 34).

კათოლიკური აღმსარებლობის ბალტიისპირელებთან ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებდათ ქართველებს, რამეთუ მათ ერთი საერთო მტერი ჰყავდათ რუსეთის იმპერიის სახით.

ბუენოს-აირესში გამომავალი პირველი ქართული ჟურნალი, „მამული“ წერდა: „მამულის რედაქცია თავის უღრმეს მადლობას სწირავს აქ ახლად შეძენილთ ლიტოველ მეგობართ, ლიტვური გაზეთის „არგენტინოს ლიეტუვიუ ბალსო“-ს გამომცემელ ბ-ნ ოჟინსკას და რედაქტორს კასტს, რომელთაც თავისი ღვაწლი არ დაიშურეს და ჩვენი გამოცემის საქმეში დიდი მორალური და ტექნიკური დახმარება აღმოგვიჩინეს“ (მამული, რ.11, 1951, 64).

მათ უსასყიდლოდ დაუთმეს თავიანთი კუთვნილი დარბაზი ლონისძიების ჩასატარებლად.

ასევე დიდი ეროვნული დღე მიულოცეს ქართველ ემიგრანტებს კავკასიელთა, ლიტველთა, ესტონელთა და სხვათა წარმომადგენლებმა. აქ წაკითხულ იქნა მილოცვანი ლიტოველთა გაზეთის „ბოლსას“ მიერ გამოქვეყნებული. შემდეგ ილაპარაკეს 26 მაისის მნიშვნელობაზე და ქართველ ერს ამ ისტორიული აქტის გამოცხადება მიულოცეს ლიტველთა, მთიელთა და ლატვიელთა წარმომადგენლებმა. განსაკუთრებით მხურვალე და ფრიად შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა ლატვიელთა საზოგადოების თავმჯდომარემ ფრისეს გაიშაისმა. მან მოუწოდა რკინის ფარდის იქით დარჩენილ ერთა წარმომადგენლებს ერთობი-

საკენ, ორგანიზაციული, პოლიტიკური შეკავშირებისაკენ. განსაკუთრებით ყოფილი რუსეთის იმპერიის უღელქვეშ მდრტვინავმა ერებმა, რომელთაც ერთხელ მაინც იგემეს თავისუფლება და იგრძნეს თავიანთი 26 მაისის ძალა, უნდა ძმურად გაუწოდონ ერთურთს ხელი და შეიგნონ, რომ ცალკეულად თავისუფლება მოპოვებული ვერ იქნება: ან მტერი მთლიანად უნდა განადგურდეს, ან თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში მოექცეს და ამით ყველა ერებმა სუვერენობა დაიბრუნოს, ან თუ ეს არ მოხდა – ყველანი მონობაში დაიღუპებიან.

სათვისტომოს თავმჯდომარემ – აკაკი პაპავამ მადლობა გადაუხადა ბალტიისპირელ მეგობრებს დამოუკიდებლობის დღის მოლოცვისათვის და აღნიშნა: „ქართველი ერის შვილნი მუდამ იყვნენ მოციქულნი დევნილ ერების შეკავშირებისა და იმპერიალზმის საწინააღმდეგოდ ძლიერი ფრონტის შექმნისა, რომ ერთა შორის სოლიდარობა, გაგება და! მტკიცე კავშირი აღნიშნულიყო საგანგებოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტშიც“ („მამული“, რ. III, 1951:95).

ცნობილია, რომ მრავალსაუკუნოვანი ისტორიით განისაზღვრება საქართველოსა და რომის კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობა. ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში, რუსუდანის მეფობის დროს, საქართველოში შემოვიდნენ რომაელი მისიონერები და შემოიტანეს მკურნალობის ევროპული კულტურა. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში, კათოლიკეთა მოღვაწეობას საუკეთესო ხანა დაუდგა მე-17 საუკუნიდან ვიდრე 1845 წლამდე, როცა ისინი მეფის რუსეთის მთავრობამ გაიწვია საქართველოდან.

1644-1646 წლებში მოსულ მისიონერებს, კერძოდ ქრისტოფორე კასტელს, იმერეთის მეფემ – ალექსანდრე მესამემ საღვთო მსახურებისთვის წმინდა სოფიის ეკლესია გადასცა. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში, კაპუციანელ მისიონერთა მოღვაწეობას საფუძველი 1662 წლიდან ჩაეყარა.

მისიონერები კათოლიკობასთან ერთად ევროპულ სწავლაც განათლებასა და კულტურას ავრცელებდნენ და ისინი, ამასთანავე, ევროპას აცნობდნენ ჩვენს ქვეყანასა და ერს.

კათოლიკობამ განსაკუთრებული სიმპათიები დაიმსახურა აჭარასა და სამცხეში. მათ მხოლოდ რუსები და სომხები ორი თვალსაზრისის გამო სდევნიდნენ: რუსები ებრძოდნენ იმიტომ, რომ მათში

ხედავდნენ საქართველოს დასავლურ ორიენტაციას, ევროპასთან და-
ახლოების ტენდენციას, ხოლო სომხები კი – ეკონომიკური კონკურენ-
ციის გამო, ანუ –ევროპული სავაჭრო კაპიტალის საშიშროებას.

მტიკცედ შეიძლება განვაცხადოთ, რომ ქართველები, ტრადიცი-
ულად, არასოდეს დევნიდნენ კათოლიკეებს, პირიქით, ქართველები-
სათვის უცხო იყო კათოლიკეთა გრძნობების შელახვა.

სწორედ მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის გამოძახილი გახ-
ლდათ არგენტინაში მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ურთი-
ერთ სიყვარული და თანადგომა. 1951 წლის 7 ნოემბერს არგენტინის
ქართულმა საზოგადოებამ წარმოადგინა მოხსენება რუსულ ენაზე:
„საქართველო და რუსეთი“, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ, რუსული
ორგანიზაციებისა და რუსული პრესის წარმომადგენელთა გარდა, უკ-
რაინელთა, ლიტოველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, მთიელთა და
სხვათა წარმომადგენელნი. მწერალ აკაკი პაპავას მოხსენება ეხებოდა
ქართველი ერის კულტურის გზებსა და როლს ქრისტიანობისა და ჰუმან-
ნიზმის განვითარებაში ახლო აღმოსავლეთში.

მომხსენებელმა ამხილა ის ძალმომრეობა, რომელიც რუსეთს ჩა-
უდენია საქართველოში, რასაც მოჰყვა ქართველთა მრავალწლიანი
აჯანყებები“ (ქართული ემიგრაცია 2024, 43-51).

ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა პერიოდიკაში ყურადღებას
იპყრობს ჟურნალ „ბედი ქართლისას“ მე-19 ნომერში დაბეჭდილი ინ-
ფორმაცია – „ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის გახსნა პარიზში“: „ა.წ.
ცხრა იანვარს, ჟან – გუჟონის ქ. N23 მოხდა ქართული კათოლიკური
ეკლესიის გახსნა.

ცერემონიას დაესწრო პარიზის ქართველ კათოლიკებთან ერთად
სხვა მრავალი ქართველობა და უცხოელი სტუმრები. ეკლესიის კუ-
რთხევაზე მონაწილეობა მიიღო პარიზის საეპისკოპოსოს წარმომად-
გენელმა მონსენიორ რუპპმა, რომელმაც წარმოთქვა შესანიშნავი
სიტყვა საქართველოზე.

მან ქართველ ერს უწოდა დიდი ერი და დაახასიათა მისი კულტუ-
რული და სარწმუნოებრივი როლი მთელი კაცობრიობის თვალსაზრი-
სით. მას შემდეგ ასევე მეტად შინაარსიანი და ქართულ-პატრიოტული
სიტყვა წარმოთქვა ქართველ კათოლიკეთა მოძღვარმა მამა მელეტმა.
ამ უცხოელმა ადამიანმა, მოსულმა ქართველთა შორის, განაცხადა: „მე

მამა შალვა ვარდიძემ შემაყვარა საქართველო და მისი წყალობით არის, რომ თქვენთან ვარ და გაძლევთ სიტყვას ღირსეულად ვემსახურო ქართულ ეკლესიას და საქართველოს.“ წირვის დროს გალობდა ქართული გუნდი დ. კლდიაშვილის ხელმძღვანელობით (ბედი ქართლისა 1955, 32).

აქვე შალვა ვარდიძე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იგი სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად სახელოვან ქართველ მამულიშვილთა გვერდით სამშობლოს დაცვისათვის საერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. ცნობილია, რომ 1913-1917 წლებში ემიგრაციაში ნაყოფიერ საქმიანობას ეწეობდა „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი.“ მის შემადგენლობაში შედიოდნენ პეტრე სურგულაძე, მიხაკო წერეთელი, ლეო და გიორგი კერესელიძეები, შალვა ვარდიძე და გიორგი მაჩაბელი.

1914 წელს დამოუკიდებლობის კომიტეტმა გამოაქვეყნა „მიმართვა ქართველი ერისადმი“, რომელშიც აღნიშნული იყო: „ქართველი ერის უფლებები ის საკითხია, რომელიც მუდამ წარმოადგენდა მიხაკო წერეთლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და პუბლიცისტური მოღვაწეობის ქვაკუთხედს. იგივე ითქმის შალვა ვარდიძეზე და ძმებ ლეო და გიორგი კერესელიძეებზე, გიორგი მაჩაბელზე. სწორედ, მათმა საპროგრამო დოკუმენტმა „თეთრი გიორგის“ იდეოლოგიაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია“.

ალექსანდრე მანველიშვილი „თავის მოგონებაში“ ხაზგასმით აღნიშნავდა: „შალვა იყო დაულალავი ადამიანი. დღედაღამე დაძრწოდა რომ ქართველებისათვის რამე ეშველა, მეორე მსოფლიო ომის დროს შალვა ვარდიძე, როგორც კათოლიკი თურქებმა შეიპყრეს და ბეირუთში გადაასახლეს. იგი აქ უნივერსიტეტში ასწავლიდა, სადაც საქართველოს შესახებ ორი ბროშურა არაბულ ენაზე გამოსცა.“

შალვა ვარდიძემ ამერიკაში გამოცემულ სომეხთა წერილზე – „თითქოს რუსთაველი სომეხი იყო და მათ ქართველები ართმევდნენ“ – სათანადო წერილით უპასუხა (მანველიშვილი 1958, 355).

1922 წელს სწორედ შალვა ვარდიძემ ჩაიტანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ამბროსი ხელაიას მემორანდუმი გენუის კონფერენციაზე წარსადგენად. იგი იყო დიდი პატრიოტი და ბუნებით უფრო მხედარი. მღვდლობა არც ისე უხდებოდა, რადგან სულ საზოგადოებრივ საქმეებში იყო ჩართული. მან წყალქვეშა ნავით ქართველ პატრიოტებთან ერთად საქართველოში ბევრი იარაღი შეიტანა. იგი არც

თურქეთში ისვენებდა. სწორედ სტამბოლში დააარსა მან ქართული კლუბი, სადაც 300-მდე ქართველი მუსულმანი ოფიცერი გააწევრიანა. შალვა ვარდიძე ყოველთვის ცდილობდა, ქართველ მუსულმანებში ქართული პატრიოტული სული გაეძლიერებინა. მისივე ინიციატივით ჩატარდა თურქეთში მუსულმან ქართველთა აღწერა, რომელშიც თურმე 750 ათასი ქართველი აღირიცხებოდა. ერთი პირი ამ აღწერისა მას 1922 წელს თბილისში ფილიპე მახარაძისთვის გადაუგზავნია.

სასულიერო აკადემია დამთავრებული შალვა ვარდიძე თეოლოგიის დოქტორი გახლდათ, რომელმაც კარგად იცოდა თურქული, ფრანგული, იტალიური, ბერძნული და სხვა ენები.

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის სასულიერო ბერს დიდი ქართული საქმისათვის უმნიშვნელო დეტალიც კი არ გამოორჩებოდა. იგი ყველაფერს იღებდა და აფიქსირებდა: „შალვამ სომხების სასაფლაოს დასათვალიერებლად წამიყვანა და აქ მანახა ქართველთა საფლავების ნაშთები ქართული წარწერებით, რომლებიც მე-17 მე-18 საუკუნეებს ეკუთვნოდა. იმ დროს სტამბოლში ქართველ ქრისტიანთა დიდი კოლონია ყოფილა და ეს სასაფლაოც ქართველებს ეკუთვნოდათ. მერე კი, როდესაც სტამბოლში ქართველობა შემცირებულა, სასაფლაო სომხებს ჩაუგდიათ ხელში. სასაფლაოზე დადებული წარწერიანი ქვები სომხებს ახლად აგებულ საავადმყოფოს კედლებში ჩაუტანებიათ. ყოველივე ამას შალვა ვარდიძე ქართველთა სასაფლაოსა და ქართულ წარწერიან მრავალ ქვის ფოტო-სურათებთან ერთად სტამბოლის ეპისკოპოსებისა და ფრანგების მიერ ბეჭდით დადასტურებული მასალებით საქართველოსა და რომში გზავნიდა“ (მანველიშვილი 1958, 355).

ემიგრანტი ალექსანდრე მანველიშვილი თავის მოგონებაში შალვა ვარდიძეზე წერდა: „1921 წელს, როდესაც სტამბოლში გაჩნდა ქართული ემიგრაცია, შალვა მათ დიდ დახმებას უწევდა, ამიტომ იყო რომ კომუნისტების რისხვა დაიმსახურა და პირველ ხანებში კომუნისტურ პრესაში ხშირი იყო მისი ხსენება. იგი დაუღალავი ადამიანი იყო. დღე და ღამე დაძრწოდა რომ ქართველებისთვის რამე ეშველა. მას სტამბოლის მონასტერში მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელიც იშვიათი გამოცემებით იყო მდიდარი. მათ შორის იყო საბა-სულხან ორბელიანის ხელნაწერები. 1937 წელს ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ რუსთაველის შესახებ კონკურსში მონა-

წილებობისას შალვა ვარდიძემ ისე კარგად თარგმნა ჩემი წიგნი იტალიურად, რომ უმაღლესი ჯილდოც მივიღე. მეორე მსოფლიო ომის დროს შალვა ვარდიძე თურქებმა შეიპყრეს და გადაასახლეს. ის ბეირუთში სან-ჟოზეფის უნივერსიტეტში ასწავლიდა, სადაც მან ორი ბროშურა საქართველოს შესახებ არაბულ ენაზე გამოსცა.

1951 წელს იგი პარიზში გვესტუმრა. ძალზე დასუსტებული იყო. მე და ნიკო დგებუაძემ ფეხზე დავაყენეთ. გამოჯამრთელების შემდეგ რომის გზით ისევ ბეირუთში დაბრუნდა. იგი ერთხანს გვწერდა წერილებს, მაგრამ მალე გარდაიცვალა“ (მანველიშვილი 1958, 355).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ, სადაც არ უნდა ყოფილიყო შალვა ვარდიძე, მისი კათოლიკური აღმსარებლობის მიუხედავად, ყოველთვის დიდი ქართული საქმისათვის თავდადებით იბრძოდა და ქართველების უდიერად ხსენებას არავის აპატიებდა. ასე რომ, ქართველი კათოლიკეები და მართლმადიდებლები ოდითგანვე საერთო ძალებით იბრძოდნენ იმ ქვეყნისათვის, რომელსაც მშობლიური საქართველო ერქვა სახელად.

გამოყენებული ლიტერატურა

- მანველიშვილი, ალექსანდრე. 1958. პირადი არქივი, მოგონებანი. დღიურები. ემიგრაციაში, სანფრანცისკო. Manvelishvili, alexandre. 1958. P'iradi arkivi, mogonebani. Dghiurebi. Emigratsiashi, sanprantsisk'o.
- ნაცვლიშვილი, პაატა. 2024. „არგენტინის ქართული სათვისტომოს ისტორიისათვის“. ჟურ. ქართული ემიგრაცია N11. თბილისი. Natsvlshvili, p'aat'a. 2024. „argent'inis kartuli satvist'omos ist'oriisatvis“. Zhur. Kartuli emigratsia N11. Tbilisi.
- ბედი ქართლისა. 1955. N19, „ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის გახსნა პარიზში“. პარიზი. Bedi kartlisa. 1955. N19, „kartvel k'atolik'eta ek'lesiis gaxsna p'arizshi“. P'arizi
- მამული. 1951. რვეული II, მაისი. ბუენოს-აირესი. Mamuli. 1951. Rveuli II, mai. Buenos-airesi.
- მამული. 1951. რვეული III, აგვისტო. ბუენოს-აირესი. Mamuli. 1951. Rveuli III, agvist'o. Buenos-airesi.
- ურუშაძე, ლევან. 1964. ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ (1924-1954) იდეოლოგიის რაობისთვის. www.burusi.wordpress.com Urushadze, levan. 1964. Erovnuli ertobis darazmuloba „tetri giorgis“ (1924-1954) ideologiis raobistvis www.burusi.wordpress.com

Mariam Marjanishvili
Research Fellow Kutaisi State Historical Museum

The Role of Georgian Catholics in the Struggle for National Independence

Since the eighteenth century, Georgian Catholics – colloquially referred to as „the French“ — have demonstrated an unwavering commitment to the independence and sovereignty of Georgia. Whether residing within the homeland or in diaspora, they consistently united around the broader Georgian national cause, a dedication vividly documented in émigré memoirs preserved across Europe and South America.

Among the periodicals of the Georgian political émigré press, particular scholarly attention is drawn to the nineteenth issue of the journal *Bedi Kartlisa*, which carries an account entitled „The Opening of the Georgian Catholic Church in Paris.“ According to this source, on January 9, 1955, the Georgian Catholic Church was inaugurated at 23 Rue Jean-Goujon. The consecration ceremony was attended by Georgian Catholics residing in Paris, members of the broader Georgian diaspora, and distinguished foreign guests. The representative of the Episcopate, Monsignor Rupp, delivered a notable address in which he characterized the Georgian nation as a people of exceptional historical and cultural significance, underscoring its contribution to the spiritual and civilizational heritage of humanity. Subsequently, Father Meleti, head of the Georgian Catholic community, delivered a speech of profound patriotic resonance, acknowledging the formative influence of Father Shalva Vardidze on his own commitment to the Georgian Church and national cause. The liturgical service was accompanied by a Georgian choir conducted by D. Kldiashvili.

Further testimony is provided by Alexander Manvelishvili’s *Diaries and Memoirs*, which portrays Shalva Vardidze as a figure of inexhaustible dedication. During the Second World War, Vardidze – as a Catholic clergyman – was captured and subsequently exiled to Beirut, where he continued his scholarly and advocacy activities, publishing two Arabic-language brochures on Georgia. He also formally responded to Armenian claims published in the American press regarding the ethnic identity of the poet Rustaveli, defending Georgian cultural heritage with documented argumentation. Vardidze’s life exemplifies

the self-sacrificial commitment of Georgian Catholics to their nation's freedom and cultural integrity.

The historical record thus attests to the profound patriotic devotion exhibited by Georgians across both confessional traditions – Orthodox and Catholic – in the service of their homeland's independence and national identity.

Keywords: *Georgian émigré, Georgian Catholics, Shalva Vardidze, Bedi Qartlisa*